

## მაია თევზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სახელთა პრეცედენტულობის რიგი ასპექტები

პრეცედენტული სახელების შესწავლას ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. პრეცედენტულობის ცნება დაკავშირებულია ენათმეცნიერ ი. კარაულოვის სახელთან, რომელმაც პირველმა შემოიტანა სამეცნიერო პრაქტიკაში ტერმინი “პრეცედენტული ტექსტი”. ამ უკანასკნელში იგულისხმება ტექსტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ემოციური და შემეცნებითი მხრივ კონკრეტული პიროვნებისთვის და ფართოდ არის ცნობილი გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებისთვის, ანუ რომელსაც აქვს ერთგვარი ზეპიროვნული ხასიათი და რომელსაც რეგულარულად მიმართავენ კონკრეტული ენის მატარებლები დისკურსში. (1, 219).

არიან მეცნიერები, რომლებიც იყენებენ უფრო ფართო ტერმინს - “პრეცედენტული ფენომენები”, მათ რიცხვს ისინი მიაკუთვნებენ არა მარტო პრეცედენტულ ტექსტს, არამედ აგრეთვე პრეცედენტულ სიტუაციას, პრეცედენტულ სახელს და პრეცედენტულ გამონათქვამს (2).

პრეცედენტული ფენომენები თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულია ლინგვოკულტურული ერთობის ყველა წევრისთვის საერთო ცოდნისა და წარმოდგენების ძირითად კომპონენტად. პრეცედენტული ფენომენები ნაცნობია ეროვნულ-ლინგვოკულტურული ერთობის ყველა წარმომადგენლისთვის (აქვს ზეპიროვნული ხასიათი, აქტუალურია კოგნიტური (შემეცნებითი და ემოციური) მხრივ და მათთან აპელაცია მუდმივად განახლებად რეჟიმშია ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა მეტყველებაში.

პრეცედენტულ სიტუაციად ითვლება ერთგვარი “ეტალონური” სიტუაცია, დაკავშირებული გარკვეული კონოტაციების ნაკრებთან, რომელთა დიფერენციალური ნიშნები შედის კოგნიტური ბაზის შემადგენლობაში. პრეცედენტული სიტუაციები ძალიან ხშირად გამოიხატება მეტონიმურად იმ ადგილზე მითითებით, სადაც ადგილი ქონდა შესაბამის ფაქტს, მოვლენას. ასე მაგალითად, სპიტაკი არის არა მარტო ქალაქი სომხეთში, არამედ უზარმაზარი ტრაგედიის ადგილი, ისევე როგორც ჩერნობილი აღნიშნავს არა მხოლოდ ქალაქს, არამედ უზარმაზარ ეკოლოგიურ კატასტროფას. მაგალითად, შეიძლება გავიგონოთ ასეთი ფრაზა: “ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მეორე ჩერნობილი არ მივიდეთ”.

პრეცედენტული ტექსტი წარმოადგენს სამეტყველო ქმედების “დასრულებულ და თვითკმარ პროდუქტს, რთულ ნიშანს, რომლის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი არ უდრის მის მთლიან მნიშვნელობას. პრეცედენტულ ტექსტებს მიეკუთვნება მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები (მაგ. ვეფხისტყაოსანი, ოდისეა), სიმღერების, რეკლამების ტექსტები და ა. შ. ზოგი ფართოდ ცნობილი ტექსტის დასახელება შეიძლება ხმარებულ იქნას მეტაფორის ფუნქციით. მაგალითად, “მისი ამბავი მთელი ვეფხისტყაოსანია”, ან “ალბათ მალე დამთავრდება მისი ოდისეა” (ოდისეა – ხანგრძლივი და სახიფათო მოგზაურობის ხატოვანი გადმოცემა).

რაც შეეხება პრეცედენტულ გამონათქვამებს, შეგვიძლია ჩამოვთვალოთ გარკვეულ ლინგვოკულტურებში ცნობილი ციტატები, ანდაზები, პოპულარული ფრაზები და გამონათქვამები.

პრეცედენტულებს მიეკუთვნება ყველა სოციალური ელფერის მქონე სახელი, რომელთა აღქმა მსგავსია მთელი ენობრივი კოლექტივისთვის. მაშასადამე, პრეცედენტული სახელი შეიძლება განვმარტოთ როგორც ინდივიდუალური სახელი, დაკავშირებული ან ფართოდ კარგად ცნობილ ტექსტთან, რომელიც, როგორც წესი, მიეკუთვნება პრეცედენტულების კატეგორიას, ან პრეცედენტულ სიტუაციასთან, სადაც პრეცედენტულ სიტუაციად მიჩნეულია ერთგვარი “ეტალონური”, “იდეალური” სიტუაცია, დაკავშირებული გარკვეული კონოტაციების ნაკრებთან, რომლის დიფერენციალური ნიშნები შედის კოგნიტურ ბაზაში. ეს არის ერთგვარი რთული ნიშანი, რომლის კომუნიკაციაში ხმარების დროს ადგილი აქვს აპელაციას არა კერძოდ დენოტატისადმი, არამედ მოცემული პრეცედენტული სახელის დიფერენციალური ნიშნებისადმი. ის შეიძლება შედგებოდეს ერთი (მაგ. არისტოტელე) ან მეტი (დიდგორის ბრძოლა) ელემენტისაგან, თუმცა ყველა შემთხვევაში გამოხატავს ერთ ცნებას.

ზოგ პრეცედენტულ სახელს აქვს მკვეთრი ნიშნები – ატრიბუტები, რომლებიც შესაბამის ხატს ხდიან ბევრად უფრო მკვეთრს, და ინტენსიურს და ხშირად იხმარებიან მეტაფორულად: “ეს ადამიანი მეორე დღეა ტერეზია”.

პრეცედენტულ სახელებს უწოდებენ, როგორც წესი, ფართოდ ცნობილ საკუთარ სახელებს, ასევე სახელებს, რომლებიც იხმარება ტექსტში როგორც კონკრეტული ადამიანის ან მოვლენის, ფაქტის აღსანიშნად, ასევე გარკვეული კულტურული ნიშნის ან მოცემული პიროვნებების და ფაქტების კონკრეტული ნიშან-თვისებების სიმბოლოს ფუნქციით. ამის გამო პრეცედენტულობა შეიძლება იყოს დამახასიათებელი არა მარტო საკუთარი არსებითი სახელებისთვის (ანთროპონიმების ან ტოპონიმებისთვის), არამედ ასევე ფაქტების, მოვლენების ამსახველი სახელებისთვის. პრეცედენტული სახელები, როგორც ენობრივი ერთეულები, წარმოადგენენ პრეცედენტული კონცეპტების – მენტალურ-ვერბალური ერთეულების-რეპრეზენტაციებს, რომლებიც გამოიყენება სინამდვილის კონცეპტუალიზაციის, კატეგორიზაციის და შეფასებისთვის. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სახელები შეიძლება იყოს პრეცედენტული ადამიანთა როგორც ძალიან ფართო, ასევე შედარებით ვიწრო სფეროსთვის (მაგალითად რაიმე ჯგუფისთვის ან ერთი ოჯახის წევრებისთვის). მათ შეიძლება შეიძინონ პრეცედენტულობა ძალიან მოკლე ვადით, შეიძლება არ იყვნენ ცნობილი ენის მატარებელთა მოცემული თაობის წინაპრებისთვის, ასევე ისინი შეიძლება გავიდნენ ხმარებიდან უფრო ადრე, ვიდრე შეიცვლება აღნიშნული თაობა.

პრეცედენტული სახელების ნაყოფიერი წყაროებია ადამიანის არსებობის რამდენიმე სფერო, ესენია: სოციალური სფერო - პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლება, გართობა, მედიცინა, სპორტი, კრიმინალური სამყარო..; ხელოვნების სფერო - ლიტერატურა, თეატრი და კინო, სახვითი ხელოვნება, სკულპტურა, მუსიკა, არქიტექტურა, მითოლოგია, ფოლკლორი; მეცნიერება, რელიგია.

თავისი პრეცედენტულობის პერიოდში მოცემულ სახელებს აქვთ თავისი ერთიანი, მთლიანი მნიშვნელობა, ხოლო მათზე აგებული რემინისცენციები შეიძლება ხშირად იქნას გამოყენებული აღნიშნული პერიოდის დისკურსში. ყოველი პრეცედენტული სახელის მიღმა დგას იმ ასოციაციების მთელი სისტემა, რომელთაც იგი იწვევს ენის მატარებელთა ცნობიერებაში. ამგვარი ჩართულობა ასოციაციურ კავშირებში სხვა ენობრივ კონცეპტებთან განაპირობებს პრეცედენტული სახელების მუდმივ აქტუალიზაციას დისკურსის განსხვავებულ ტიპებში. აღნიშნული ტიპის ასოციაციურ კავშირებს მეცნიერები უწოდებენ პრეცედენტულობის ასპექტებს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრეცედენტულობას იძენენ მწერლების სახელები, პრეცედენტულობის ასპექტებს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ავტორის პიროვნება, მისი შემოქმედება, ასევე მისი ცალკეული ნაწარმოებების სიუჟეტები, გარკვეული ეპოქისადმი, ლიტერატურული მიმდინარეობისადმი მისი მიკუთვნებულობა და ა.შ. პრეცედენტულობის ასპექტები შეიძლება იყოს როგორც შიდა ტექსტობრივი (დასახელებები, პერსონაჟების სახელები), ასევე არა ტექსტობრივი (მაგ. ნაწარმოების შექმნის დრო და სიტუაცია).

როგორც წესი, პრეცედენტული ტექსტებისა და სახელების მიღმა შეფარულია ფართო კულტურული შინაარსი, რომელიც ყალიბდება სახელის ხმარების ვიწრო წრიდან გამოსვლის და მის მიერ სოციალური კონოტაციების შექმნის წყალობით. ამ გზით შექმნილ კონოტაციებს შეიძლება ქონდეთ ლოკალური და არა ხანგრძლივი ხასიათი, თუმცა აუცილებლად აქვთ აზრობრივი ასოციაციები და ემოციურ-შეფასებითი კომპონენტები. სახელის არსებობის განმავლობაში მისმა კულტურულმა კონოტაციებმა შეიძლება განიცადონ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც იწვევს სახელის სემანტიკურად მნიშვნელოვან “მოძრაობას” კულტურის დროში (მაგალითად, სახელები ღუარსაბი და დარეჯანი, მეჯღანუაშვილი, ჯაყო და ა. შ.).

პრეცედენტული სახელი პრაქტიკულად მთლიანად ემთხვევა დ. ერმოლოვიჩის მიერ შემოთავაზებულ ტერმინს “ერთჯერადი ანთროპონიმი”, რომელშიც იგულისხმება სახელი, რომელიც მიეკუთვნება ბევრ ადამიანს, მაგრამ ერთ რომელიმესთან არის დაკავშირებული უპირველეს ყოვლისა. (3)

ერთჯერადი ანთროპონიმი უპირისპირდება მრავალჯერადს, ე. ი. ისეთს, რომელიც არ არის დაკავშირებული უმეტესწილად მხოლოდ ერთ ადამიანთან. ფაქტორებს შორის, რომლებიც განაპირობებენ ენაში ერთჯერადი ანთროპონიმების არსებობას, მეცნიერი ასახელებს საზოგადოებაში მისი მატარებლის ცნობადობას, ფართო ექსტრალინგვისტურ შინაარსს, რომლიდანაც ვიღებთ იდეების მდიდარ კომპლექსს, რომელიც არ შეიძლება ჩანაცვლდეს არანაირი საზოგადო სახელით, და პრეცედენტული სახელებისთვის დამახასიათებელ სხვა მნიშვნელოვან ნიშან-თვისებებს. მაშასადამე, ერთჯერადი ანთროპონიმი შეიძლება ჩაითვალოს პრეცედენტული სახელების ერთერთ სახეობად ერთჯერადი ტოპონიმების, ზოონიმების პარალელურად..

პრეცედენტულ სახელს აქვს გარკვეული სტრუქტურა, პრეცედენტული სახელის აღქმის ინვარიანტის ბირთვს შეადგენს დიფერენციალური ნიშნები, ხოლო პერიფერიას – ატრიბუტები, თანაც დიფერენციალური ნიშნები შეადგენს ერთგვარ რთულ სისტემას გარკვეული მახასიათებლებისა, რომლებიც განასხვავებენ აღნიშნულ ობიექტს სხვა მისდაგვარებისგან, ხოლო ატრიბუტები არის ერთგვარი ელემენტები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული პრეცედენტული სახელის აღსანიშნთან და არიან საკმარისი, თუმცა არა სავალდებულო, მისი მინიშნებისთვის, მაგალითად, სტალინის ჩიბუხი, ნაპოლეონის დაბალი სიმაღლე და ა. შ.

პრეცედენტული სახელი ინახება კოლექტივის ცნობიერებაში როგორც თავად ვერბალური ფენომენი, ასევე დიფერენციალური ნიშნების და ატრიბუტების ერთიანობა. იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის კულტურული კონტაცია შედის სახელის სემანტიკური სტრუქტურის შემადგენლობაში, იგი შეიძლება იყოს მონო- ან პოლიკონტაციური.

პრეცედენტულ სახელებს ახასიათებთ მკვეთრი ექსპრესიულობა, რომელიც ვლინდება სიტყვის მნიშვნელობის კონტაციური კომპონენტების აქტუალიზაციის დახმარებით. ექსპრესიულობის ეფექტი ასეთ შემთხვევებში ყოველთვის არის დაკავშირებული შეფასებასთან. შეფასება, გამოხატული პრეცედენტული სახელის დახმარებით, არის ხაზგასმულად ემოციური და სუბიექტური. წარმოებს აპელაცია არა ნორმასთან, არამედ ეტალონთან, რომელიც წარმოადგენს უკიდურეს წერტილს შეფასების სკალაზე და შესაბამისად რომელიც ყველაზე უფრო სრულად გამოხატავს ამა თუ იმ ნიშან-თვისებას. აპელაცია ხდება არა ცნებასთან, არამედ ხატთან.

ამგვარად, პრეცედენტული სახელი საშუალებას იძლევა რომ არა მარტო მიაკუთვნოს ობიექტი გარკვეულ კლასს, არამედ მოახდინოს მისი ემოციური შეფასება. ეს თავისებურება საშუალებას აძლევს პრეცედენტულ სახელებს რომ შექმნან ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის შეფასებითი სკალა და ამით მოახდინონ გავლენა აღნიშნული ერთობის წევრების სოციალური ქცევის მოდელზე.

პრეცედენტული სახელების ფუნქციონირების თავისებურებას ქმნის მათი უნარი, რომ წარმოადგენდნენ რთულ ნიშანს, რომელიც ფლობს არა მარტო მნიშვნელობების უბრალო რაოდენობას, არამედ დიფერენციალურ ნიშანსაც, რომელიც ქმნის მისი აღქმის ინვარიანტის ბირთვს. ამდაგვარი ფუნქციონირების დროს არ არის საჭირო პრეცედენტული სახელის სპეციალური გაშიფრვა ან კომენტირება, იგი არის თვითკმარი რათა გამოხატოს რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ნიშნის ცხადი და უშუალო მნიშვნელობა.

იმ შემთხვევაში, თუ პრეცედენტულ სახელს აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე დიფერენციალური ნიშანი, იგი შეიძლება იყოს პოლისემური და წარმოადგენდეს არა მარტო რაიმე ხატის, არამედ სიტუაციის სიმბოლოს.

რიგი მეცნიერები გამოყოფენ პრეცედენტულობის რამდენიმე დონეს: ავტოპრეცედენტული ფენომენები, ჯგუფურ-პრეცედენტული ფენომენები, ეროვნულ-პრეცედენტული ფენომენები და უნივერსალურ-პრეცედენტული ფენომენები. (4, 157)

ავტოპრეცედენტული ფენომენები წარმოადგენს ინდივიდის ცნობიერებაში გარემომცველი სამყაროს რიგი მოვლენების ასახვას, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული შემეცნებითი, ემოციური ან აქსიოლოგიური მნიშვნელობა კონკრეტული პიროვნებისთვის; ჯგუფურ-პრეცედენტული ფენომენები ცნობილია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის და შესაბამისად ისინი წარმოადგენენ გარკვეული კოგნიტური სივრცის შემადგენელ ნაწილს; ეროვნულ-პრეცედენტული და უნივერსალურ პრეცედენტული ფენომენები კი ცნობილია ნებისმიერი თანამედროვე მოაზროვნე ადამიანისთვის და შედის კაცობრიობის უნივერსალური კოგნიტური სივრცის შემადგენლობაში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული მაინც პირობით კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული ენის მატარებლის პირად კოგნიტურ ბაზაზე გარკვეული ლინგვოკულტურული საზოგადოების ფარგლებში. საკუთარი სახელი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს განსაზღვრულ პრეცედენტულ სიტუაციაზე ერთ რომელიმე პიროვნებას, შეიძლება სრულიად დაცლილი იყოს ამ ფუნქციისგან სხვა პიროვნებისთვის, თუმცა უნდა აღვნიშნოს, რომ პრეცედენტულობა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს თანამედროვე ლინგვოკულტურულ პარადიგმაში, წარმოადგენს რა ენისა და კულტურის სინთეზის უშუალო შედეგს, რაც განაპირობებს ენათმეცნიერების განსაკუთრებულ ინტერესს მათი შესწავლისადმი

## ლიტერატურა

1. Караулов Ю. Н. Русский язык и языковая личность. М., 2003, 261 с.
2. Прецедентное имя и прецедентное высказывание как символы прецедентных феноменов // И. В. Захаренко, В. В. Красных, Д. Б. Гудков и др // Язык, сознание, коммуникация. Вып.1. М., Филология, 1997. С. 82-103
3. Ермолович Д. И. Имена собственные на стыке языков и культур. М., "Р. Валент ", 2001, 133 с.
4. Гудков Д. В. Теория и практика межкультурной коммуникации. М., 2003, 288с.

## რეზიუმე

პრეცედენტული სახელების შესწავლას ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. პრეცედენტულებს მიეკუთვნება ყველა სოციალური ელფერის მქონე სახელი, რომელთა აღქმა მსგავსია მთელი ენობრივი კოლექტივისთვის. ესენია, როგორც წესი, ფართოდ ცნობილი საკუთარი სახელები, და არა მარტო, სახელები, რომლებიც იხმარება ტექსტში როგორც კონკრეტული ადამიანის ან მოვლენის აღსანიშნად, ასევე გარკვეული კულტურული ნიშნის ან მოცემული პიროვნებების და ფაქტების კონკრეტული ნიშან-თვისებების სიმბოლოს ფუნქციით. აღსანიშნავია პრეცედენტული სახელების მრავალფეროვანი ფუნქციური პოტენცია, რაც განაპირობებს ენათმეცნიერების განსაკუთრებულ ინტერესს მათი შესწავლისადმი.

**Maya Tevzadze**

### **Some aspects of the precedent names**

#### **Summary**

The study of the precedent names has an important place in linguistics. Precedent names include those names that are perceived similarly within the entire linguistic community. These are usually widely known names, but not only, that are used in the text to denote a particular person or event. They have the function to represent the symbol of a particular sign of a given person or an event.